მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად,  დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების  მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლოს წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა   სკოლის სტრუქტურული ერთეულების  ფუნქციებისა და სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი.

სკოლაში კანონმდებლობის შსაბამისად ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

1. სკოლის სამეურვეო საბჭო;
2. პედაგოგიური საბჭო;
3. დისციპლინური კომიტეტი;
4. მრჩეველთა საბჭო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები შერჩეულია და მათი ფუქცია/ მოვალეობები განსაზღვრულია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს და დისციპლინარული ოქმებით

ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუირება წარიმართა სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებთანაც და შესწავლილ იქნა მათ მიერ დაოქმებული განხილული საკითხები. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, სამეურვეო საბჭო კანონის დაცვით აკონტროლებს სკოლის ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას.

პედაგოგიური საბჭოს მიერ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცებულია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია კათედრების, დამრიგებლების ფუნქცია- მოვალეობები. შესაბამისად, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

**ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფექტურად წარიმართოს. ინტერვიუირების დროსაც გამოიკვეთა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეული საბოლოო ჯამში სკოლის მისიას ემსახურება. დაცულია სუბორდინაცია. სტრუქტურული ერთეულები/პირები ურთიერთთანამშრომლობით არეგულირებენ სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და შეიმუშავებენ სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს.

სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები შესაბამისობაში სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან და სტრატეგიულ გეგმებთან, რაც დასტურდება როგორც სკოლაში არსებული დოკუმენტაციით, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. სკოლის თითოეულ თანამშრომელს გათავისებული და გაზიარებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და სხვებთან თანამშრომლობა საერთო საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

**ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

1. ,,ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი“.
2. დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
3. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. საშტატო განრიგი;
5. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებისა და სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი.
6. პერსონალთან ხელშეკრულებები;
7. პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით „ადამიანური რესურსის მართვა“, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს. პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები შემუშავებულია მხოლოდ მასწავლებლებისთვის, რომელიც რეგულირდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულეებით. ასევე სკოლაში მართვის პროცესები რეგულირდება შესაბამისი სტუქტურული ერთეულების კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებით და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით.

დირექტორმა ინტერვიუირების დროს აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის მართვისას სკოლის მთავარი მიზანი პედაგოგთა საქმინაობის ისეთი დაგეგმვა და წარმართვაა, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას. ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ადამიანური რესურსების მართვას ახდენს კანონმდებლობის საფუძველზე. კერძოდ, პედაგოგთა კონკურსის გზით მიღება, დასაქმებულის ადაპტაციაში ხელშეწყობა, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, სახელფასო სისტემის დახვეწა და ა.შ.

**ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში რომელიმე სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. საჭირო კადრისთვის წინასწარ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადდთან ერთად მასწავლებლის დასაქმების ვებ-გვერდზე. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის დასაქმებულზე ან დროებით მოწვეულ პირზე. ეს პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

ასევე სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალის მართვის ძირითად მიმართულებები. შესაბამისად, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

**ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, პედაგოგებს იღებს კონკურსის გზით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კონკურსის გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს სასწავლო პროცესის ჩაშლა. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი. განცხადებას ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლა აქვეყნებს საჯაროდ www.teacherjobs.ge-ზე, ასევე განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში დასაქმებულთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. შიდა და ღია კონკურსების ეტაპებია:

ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) 3 საგაკვეთილო გეგმის წარმოდგენა;

სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე.

ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა სკოლის მიერ გამოცემული საერთო ბრძანებები და ბრძანებების გატარების ჟურნალი , სადაც სკოლას ასახული ჰქონდა სხვადასხვა ვაკანსიის შესახებ ბრძანება. პედაგოგებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ყველა დასაქმების მსურველს თანაბარ პირობებში აყენებდა და იცავდა კონკურსის სამივე ეტაპს:
ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება;
გ) 3 საგაკვეთილო გეგმის წარმოდგენა.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა საკონკურსო კომისიის ოქმებიც, სადაც დეტალურადაა ასახული გამოცხადებული კონკურსის სამივე ეტაპის მიმდინარეობა, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით აპლიკანტთა შეფასება და გადაწყვეტილების მიღება. ზეპირი განმარტების დროს სკოლის დირექტორმა ისაუბრა კრიტერიუმების მიხედვით აპლიკანტთა ქულებით შეფასებაზე.

სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 22 თანამშრომელი. აქედან დაწყებით და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 13 პედაგოგი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 საინფორმაციო მენეჯერი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 სპეც. მასწავლებელი, 1 ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი პირადი საქმეების, eschool ბაზისა და სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებების გადამოწმების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლას მასწავლებლები შერჩეული ჰყავს ,,ზოგადი განათლების შესახებ '' საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ,,ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი", რომლითაც რეგულირდგეა სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება/შერჩევა და ადპტირება. დოკუმენტში მოცემულია კონკურსის გამოცხადების პირობები, გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული პირობები და წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსთან" შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლოს წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები.
სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია. ასევე ყველა მასწავლებელს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განაცხადება;
ბ) CV,
გ) პირადობის მოწმობის ასლი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დ) ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი.

**სკოლაში დასაქმებულ პირებს არა აქვთ კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები:**

1. ნასამართლეობის შესახებ
2. ცნობა სქესობრივი თვისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ;
3. ცნობა ნარკოლოგიურის შესახებ;

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 3.1.2. კომპონენტებთან, კერძოდ, 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შსაბამისობის გეგმიდან გამომდინარე სკოლამ 2023 წლის 09 სექტემბირდან 2023 წლის 20 ოქტომბირ ჩათვლით პერიოდში, საქმისმწარმოებლის ჩართულობით, უზრუნველყო დასაქმებულების მიერ კანონმდებლბით დადგენილი ცნობების წარმოდგენა, კერძოდ:

1. ცნობა ნასამართლეობის შესახებ
2. ცნობა სქესობრივი თვისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ;
4. ცნობა ნარკოლოგიურის შესახებ;

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ცნობები დასკანერებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 31 აგვისტოს N1 სხდომის ოქმი და 2023-2030 წლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.

**ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

**4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებები. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პერსონალთან. სკოლაში დასაქმებულია სულ ---13 მასწავლებელი: აქედან 12 უფროსი მასწავლებელი და 1 უფროსი სპეციალური მასწავლებელი.

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას დასაქმებულ პირებთან (ტექპერსონალი, მასწავლებლები და ა.შ) დადებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები და ასევე გამოცემული აქვს ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებლივი აქტი-ბრძანება.

პერსონალის დანიშვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები შესაბამის ჟურნალშია გატარებული.

ასევე სკოლის მასწავლებლის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, კერძოდ, მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია. შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სტრუქტურული ორგანოების ოქმებით. სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც.
სკოლის პედაგოგები ინტერვიუირების დროს საუბრობდნენ ურთიერთთანამშრომლობით წარმართულ კათედრის სხდომებზე, ურთიერთდასწრებებზე, განხორციელებული პროექტებზე და ა.შ. შესაბამისად, პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის შინაგანაწესში თანამშრომელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემაა მოცემული:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

ინტერვიუირების დროს დირექტორმა აღნიშნა, რომ დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებასა აფორმებს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. ასევე დასაქმებულის მიმართ შესაძლოა ერთდროულად გამოიყენოს წახალისების რამდენიმე ფორმა. მას წერილობით მიმართავენ დასაქმებულის წახალისების თხოვნით, დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო.

სკოლის დირექტორთან ინტერვიუსა და სკოლაში საერთო ბრძანებების შესწავლისას გამოვლინდა, რომ პერსონალის წახალისების, წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულებისათვის, დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანებები პრემიების შესახებ მასწავლებლებზე, სკოლის ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალზე.

პედაგოგებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, თიმსის პლატფორმას. შესაბამისად, ,,სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი
2. შინაგანაწესი
3. საერთო ბრძანებების ჟურნალი
4. საკადრო ბრძანებების ჟურნალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. კონკურსის წესი
6. საკონკურსო კომისიის ოქმი
7. პერსონალის პირადი საქმე
8. შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი", რომელიც არეგულირებს დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებაში. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას დანერგილი აქვს მრავალმხრივი ობიექტური შეფასების სისტემა: მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება.

სკოლის თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ეს შეფასება ხორციელდება მათი პროფესიული განვითარებისთვის და წინსვლისთვის. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები წლის განმავლოობაში გეგმავენ და ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ აქტივობებს. ავსებენ თვითშეფასების კითხვარს და ადგენენ საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების გეგმებს. ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით ესწრება გაკვეთილებს, ისმენს მასწავლებლის რეფლექსიას და უკუკავშირის საფუძველზე ახდენს მასწავლებლის საჭიროების დადგენას. კათედრები განიხილავენ სიახლეებსა თუ მუშაობის პროცესში წამოჭრილ სირთულეებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სკოლა ზრუნავს მასწავლებლის პროფესიულ ზრდა-განვითარებაზე, ხელს უწყობს სხვადასხვა პროექტების დანერგვა-განხორციელებას. სკოლის სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დებულება განსაზღვრავს ხარისხის ჯგუფის მუშაობის წესს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესებსა და პროცედურებს. სკოლას ასევე გაწერილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ამ დოკუმენტში დაწვრილებით არის აღწერილი ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები.

**ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა სკოლის ბაზაზე წარმოდგენილია კათედრების გეგმებში. ასევე გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მნიშნელოვან ნაწილად, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხდება ურთიერთსწავლებით, შეხვედრებით, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებით, კათედრების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით

ასევე სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი", სადაც ასახულია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, კერძოდ, მასწავლებლების ჩართვა სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ტრენინგებზე, სამუშაო შეხვედრებზე, მათი მონაწილეობა საგანამანათლებლო პროგრამებსა და ღონისძიებებში. სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში წარმოდგენილია ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები და ცნობები.

ასევე ამ დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებისთვის საჭირო რამდენიმე ეტაპი:

ა. პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ღონისძებების დაგეგმვა; გ. შესაბამისი კანდიდატების შერჩევა; დ. მასწავლებელთა პროფესიული უნარებისა და ცოდნის შეფასება.

როგორც ინტერვიუირების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის განახლებულ ინფორმაციას დაგეგმილ სხვადასხვა ტრენინგსა და სამუშაო შეხვედრების შესახებ.

**ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლის კარიერულ ზრდას. ამისთვის, ერთი მხრივ, იკვლევს მათ საჭიროებებს („ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი"), მეორე მხრივ, აკეთებს მოსწავლეთა პროგრესის ანალიზს. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა სკოლის კათედრის ოქმები, სადაც კათედრების მიხედვით მოსწავლეთა მიღწეული შედეგებია განხილული და გაანალიზებული.
სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში, პროექტებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

**ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა ზრუნავს თანამშრომლის ინტეგრაციაზე ახალ სამუშაო გარემოსთან. დირექტორმა ადგილზე ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორის მოადგილე მეგზურობას უწევს ახალ თანამშრომელს: აცნობს დასაქმებულს სკოლის ისტორიას, ტრადიციებს, სასკოლო დოკუმენტაციას, სკოლის მარეგულიერებელ დოკუმენტებს, სასკოლო შეფასებას, ეხმარება მას კლასთან და სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებასთან ინტეგრაციაში.  ახალ თანამშრომელს ის ასევე აცნობს  სკოლის სამასწავლებლოს, სასკოლო კათედრებისთვის გამოყოფილი ოთახებს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიას.

შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

**ინდიკატორი 3.2.1.4  დაკმაყოფილებულია.**

**5.   წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს  ექვსი კათედრა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით არაერთ მნიშვნელოვან ინიციატივას ნერგავს. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა კათედრების სამოქმედო გეგმები, სადაც მოცემული იყო კათედრის წევრების ინიციატივები პროექტების სახით. ინტერვიუირების დროს დაასახელეს არაერთი პროექტი, რომელიც მოსწავლის იდეით თუ მასწავლებლის ინიციატივით იყო  წამოწყებული. ამ პროექტების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განხორციელება სკოლის  მხრიდან დიდ მხარდაჭერაზე მიუთითებს. შესაბამისად, წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორი 3.2.1.5  დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი
2. მასწავლებლის პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება
3. 2023-2024 სასწ.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კათედრის სამოქმედო გეგმა
5. კათედრის ოქმები

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესის მართვა

### 3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად**

სსიპ  ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო  სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი". დოკუმენტი არეგულირებს სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და შეიმუშავებს სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი, რომლის მონაცემებიც გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის შესაფასებლად, არამედ საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ხელშესაწყობად.

დოკუმენტის თანახმად სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.

დოკუმენტის შესაბამისად სასწავლო პროცესის ხარისხის დადგენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით:

• სასწავლო პროცესის წარმართვის კომპეტენცია;
• სწავლების მეთოდების შერჩევა;
• შესასწავლი მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

• მოსწავლეების ცოდნის ობიექტური შეფასება;
• საგნის შინაარსის ადეკვატური, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და სწავლებისას გამოყენება;
• საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა.

თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. რომლის შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. შესაბამისად, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

**ინდიკატორი 3.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული. ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბიბლიოთეკარმა, ბუღალტერმა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება.

**ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურებს. სამეურვეო საბჭოში შეიძლება გასაჩივრდეს:

- სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით
- სკოლის დირექტორის უარი დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე
- დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ.

მასწავლებლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ ბრძანების გასაჩივრება არ იწვევს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აქტის მოქმედების შეჩერებას. სამეურვეო საბჭო საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ნორმებით და საჩივარს იხილავს 1 თვის ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი. ადგილზე ვიზიტის დროსშესწავლილ იქნა დისციპლინური კომიტეტის ოქმები.
სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის ,,განცხადების და საჩივრების განხილვის წესი“.

**ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის შინაგანაწესით უზრუნველყოფილია პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. დოკუმენტში განსაზღვრულია მათი უფლებები, ვალდებულებები, გასაჩივრების წესი. სკოლას ჰყავს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც მოსწავლეებისა და პერსონალის უფლებების დაცვაზეა პასუხისმგებელი.
სკლას აქვს შექმნილი დოკუმენტი ,,მოსწავლის პერსონალის, მშბლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლისა და მისი მეურვის კანონიერი უფლებები, სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები, სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება და სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება.
სკოლამ წარმოადგინა უსაფრთოხების პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
2. შინაგანაწესი
3. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
4. საერთო ბრძანებების ჟურნალ,,მოსწავლის პერსონალის, მშბლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ვებ.გვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, Microsoft Teams - ის პლატფორმას, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს.

პედაგოგებთან, საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ სკოლა სოციალურ ჯგუფებში ავრცელებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამების, სასწავლო რეჟიმის, არაფორმალური განათლების აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელს სკოლა იყენებს სასკოლო კვლევების განსახორციელებლადაც. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით იყენებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა გზებს, კერძოდ, მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. ინფორმაციის მიწოდებისა და უკუკავშირისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვნ საშუალებებს: სოციალურ ქსელს, კლასების მიხედვით შექმნილ მესენჯერ ჯგუფებს, Teams-ის პლატფორმაზე შექმნილ ჯგუფებს, სატელეფონო კომუნიკაციას.
სკოლის დირექტორის განმარტებით ზემოაღნიშნული პრაქტიკა ჩამოყალიბდა პანდემიის დასრულების შემდეგ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, ასევე ხდება პირისპირ შეხვედრებით, კრებებით, საინფორმაციო დაფის გამოყენებით, სკოლის თანაშრომელთა ელექტრონული ფოსტის და სხვა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სკოლის შინაგანაესს, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს: მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას და ა.შ. გარდა ამისა, სკოლაში იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, სადაც მასწავლებლები მშობლებს საკუთარი შვილის შედეგების შესახებ აწვდიან ინფორმაციას. დამრიგებლები ისმენენ მშობელთა წინადადებებს, სურვილებს, რჩევებს და საუკეთესო წინადადებებს ითვალისწინებენ მუშაობის პროცესში.
სკოლას შექმნილი აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მშობლის ჩართულობასა და მის თანამონაწილეობას სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებაში.

**ინდიკატორი 3.3.2.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას ჰყავს ჰყავს სამეურვეო საბჭო, სკოლის დისციპლინარულ კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო.
დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს.
აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებელთა თქმით, მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე ქცევის შესახებ. მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, სოციალური ქსელების მეშვეობით.

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რაც უზრუნველყოფს მშობლების სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას.

**ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების ამსახველი თიმსის პლატფორმისა და სოციალური შიდა ქსელის ფოტომასალა
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი
3. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
4. საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
5. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რითაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა), საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი და დამტკიცებულია სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვსსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 04 სექტემბირს სხდომაზე (ოქმი N1) დამტკიცებული „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის" დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს:

- წესრიგისა და სკოლის კუთვნილი ქონების დაცვას;
- სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
- საგანგებო შტაბის შექმნას;
- ფეთქებადი ნივთიერებების დაწესებულებაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური შეტყობინების დროს დაწესებულების მიერ გასატარებელი ღონისძიებები;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი;
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის მიღება და მასში ცვლილების შეტანა;

სკოლას ასევე შექმნილი აქვს ,,სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება", რომლითაც განსაზღვრულია:

- მორიგე მასწავლებლის ფუნქცია და მოვალეობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებელი ვალდებულება;
- სამედიცინო სამსახურის -ექთანის ვალდებულება;
- უსაფრთხოების ზომები სპორტული და სხვა კლასგარეშე ღონისძიების ორგანიზებისას;
- უსაფრთხოების ზომები ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ კლასგარეშე ღონისძიებების ორგანიზებისას, რომელშიც მონაწილეობენ პედაგოგები;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია;
- დამლაგებლის მოვალეობები;
- საკლასო ოთახებში, დერეფნებში, სამსახურეობრივ და სანიტარულ ოთახებში უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია;

სკოლაში 2023 წელს ბრძანებით (ბრძანება N45) შექმნილია ,,სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი“, რომელიც ითვალისწინებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურებს.
პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად, ამასთან აღნიშნული წესის გათვალისწინებით, სკოლაში სადაც სწავლობს 50 მოსწავლეზე ნაკლები, განსაზღვრულია ექთნის დასაქმება.

2020 წლის 20 დეკემბრის ბრძანება N64-ით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას აქვს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სკოლას ჰყავს 24 საათის განმავლოობაში დარაჯი. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქციაა დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემა. სკოლის შესასვლელს მეთვალყურეობას უწევს სპეციალურად გამოყოფილი პირი, რომელიც აღრიცხავს ვიზიტორთა ჟურნალში სტუმრის მონაცემებს. სკოლას ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვს საევაკუაციო გეგმა. სკოლაში, სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შინაგანაწესით და ფუნქციური პასუხისმგებლობის გადანაწილებით. პირველ სართულზე განთავსებულია სახანძრო ინვენტარის სტენდი.

რაც შეეხება შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტს, ჩვენ ვიხელმძღვანელეთ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, სადაც კონკრეტულ მისამართზე მითითებულია სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა და ასევე საჯარო რეესტრიდან ამონაწერით, რომლის მიხედვითაც სკოლას აქვს მინიჭებული საკადასტრო კოდი და აღწერილია შენობა ნაგებობების არსებობა კონკრეტულ მისამართზე.

ვიზიტის პერიოდში, ინტერვიუირების დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ უსაფრთხოების წესებს, საევაკუაციო გეგმას და საგანგებო სიტუაციებში სწორად რეაგირებაც შეუძლიათ.

სკოლის პერიმეტრზე არ შეიმჩნევა სამშენებლო ნაგვის/ნარჩენების და ნებისმიერი სხვა იმგვარი ნარჩენების საფრთხის შემცველი ობიექტების არსებობა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას, სკოლის ტერიტორიაზე არსებული ელექტრო გაყვანილობა არის დაცულ მდგომარეობაში. სკოლის ეზო და გარე პერიმეტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოწესრიგებულია. ინტერვიუდან დასტურდება რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს გარე პერიმეტრის მოწესრიგებაზე რათა თავიდან აიცილოს ისეთი საფრთხე, როგორიცაა ქვეწარმავალი ან სხვადასხვა ცხოველების გადაადგილება.

ინტერვიუდან ასევე დასტურდება, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელნი არიან მორიგე მასწავლებლები. სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი. დროულად ხდება არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება. დამრიგებლები მოსწავლეთა სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში უკავშირდებიან მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლა არ უშვებს მოსწავლის სკოლიდან გასვლას, უნებართვოდ/კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, მისი საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე.

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების აღჭურვილობა (ცეცხლმაქრები, დეტექტორები, საკვამურები). სკოლაში ფუნქციონირებს საევაკუაციო გასასვლელები. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ექთანის არსებობას სკოლაში. სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი. წარმოდგენილია სკოლის ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები: მოსწავლეების უფლებებისა და წესების გაცნობა, თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული სამინისტროს, ცხელი ხაზის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნომრები. კლასის დამრიგებლებს აქვთ ვალდებულება ზემოთ აღნიშნული ტელეფონის ნომრებზე/უწყებებზე ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლეებს/მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს.

სკოლას არა აქვს მიღებული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლამ ვიზიტის პერიოდში გააგზავნა წერილი სახანძრო უსაფრთხოების ნორმების კნონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია შენობის მდგრადობის დასკვნა. სკოლამ ვიზიტის პერიოდში გააგზავნა წერილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან, შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრის თაობაზე.

სკოლას არა არის აღჭურვილი გარე და შია პერიმეტრზე ვიდეოსათვათავლო კამერებით.

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია ინფორმაცია კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით.

**რჩევა;**
**ა) სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის.**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოგიდგინა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 3.4.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე სკოლის ტექნიკური მდგრადობის დასკვნის მოპოვება, სკოლის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება და სკოლის გარე და შიდა ვიდეოსათვალო კამერებით აღჭურვა განხორციელდება 2023 წლის 11 სექტემბრიდან 2024 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით, დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტერის ჩართულობით.
სკოლას არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი აქვს:
ა) სკოლასა და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულება შენობის ტექნიკური მდგომარეობის დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით
ბ) სკოლასა და შ.პ.ს „ უსაფრთხოება“ შორის დადებული ხელშეკრულება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების პროექტის მომზადებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) სკოლასა და ,, მც/მეწარმერამაზ მასხულია“ შორის დადებული ხელშეკრულება სკოლის გარე და შიდა ვიდეოსათვალო კამერებით აღჭურვასტან დაკავშირებით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნისა და შენობის მდგრადობის დასკვნის მომზადება და გარე და შია პერიმეტრზე ვიდეოსათვათავლო კამერებით აღჭურვა 2023 წლის 11 სექტემბრიდან 2024 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით.

**ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

## 2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლას აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა სკოლის დარაჯის მიერ. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა - შემოსული პირების გატარება ხდება შესაბამის ჟურნალში. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების გატარება. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს , იღებს რეკომენდაციებს და შემდგომი რეაგირებისთვის წარუდგენს სკოლის დირექტორს. სკოლაში განსაზღვრულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

**ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე. დოკუმენტაციის გაცნობისას ჩარიცხვა/ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, მოსწავლის საფეხურის დაძლევის საკითხები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით. კერძოდ, სკოლაში დაწყებითი (გარდა პირველი კლასისა) და საბაზო საფეხურის ცალკეულ კლასებში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები “. ამ დოკუმენტის მიედვით მოსწავლეთა ჩარიცხვის დროს გამიჯნულია პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურები. ასევე დაწვრილებით არის აღწერილი პროცესები მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება/აღდგენის შემთხვევაში. ასევე გაწერილია მოსწავლის მიერ კლასის დაძლევის პირობები. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია კლაისა და საფეხურის დაძლევის მექანიზმები.

**ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool და მოსწავლეთა პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

სკოლას აქვს „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვისა, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების

ბრძანებები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცედურებს და ახორციელებს კანონმდებლობის დაცვით. მოსწავლის ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ასაკს, მობილობა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა პირადი საქმეები. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ხდება საფეხურის დაძლევის, მოსწავლეთა შეფასების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში შესაბამისი ვადების გათვალისწინებით.

**ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბებისა და წრეები სახით, რომელიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. სკოლა მე-5 კლასიდან ახორცილელებს მეორე უცხოური ენის (რუსული ენა) სწავლებას მშობლებთან შეთანხმებით.

მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, შინაგანაწესი, მასწავლებლის სტანდარტი, ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი, მოსწავლეთა უფლებების დაცვის რეგულაციის მექანიზმების დოკუმენტი და მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს სკოლის შიდა პოლიტიკასა და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შეახებ ინფორმაციას. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რემედიაციულ აქტივობებს. გასულ წელს არაერთი რემედიაციული პროცესი წარმართეს სკოლის საგნისა და სპეც მასწავლებლებმა სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებთან. დირექტორის განმარტებით სამომავლოდ დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გვაქს რემედიაციული ღონისძიებების უფრო ფართომასშტაბიანი დანერგვა/განხორციელება, ვინაიდან პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევა იმ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს.

**რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა რემედიაციასთან დაკავშირებული მექნიზმები განსაზღვროს დოკუმენტის სახით.**

**ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის დასაქმებულ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სკოლაში ვიზიტისას ან მშობლის დამრიგებელთან კომუნიკაციის საშუალებით. ასევე სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული, არადისკრიმინაციული და პროაქტიული. სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო თემის ყოველ სუბიექტს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე, სკოლა არ აწესებს შეზღუდვებს (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესს), შემუშავებულია IT კაბინეტით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს. მათი ფუნქციონირების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. აღნიშული ინფორმაცია ასევე ასახულია სასკოლო გეგმაში. რომელიც ასევე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შინაგანაწესი
2. სკოლასა და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
3. მოსწავლეთა უფლებების დაცვის რეგულაციის მექანიზმების დოკუმენტი;
4. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადაპტაციის გეგმა. სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს (ტიპიური და სსსმ) სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი.
სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების მიზნით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. პირველ კლასელთა მასწავლებელი აწყობს პირველკლასელების საზეიმო მიღებას წინასწარ მორთულ საკლასო ოთახში. შემდგომ ეტაპზე ხდება მათთვის სკოლის სტრუქტურის გაცნობა.
მობილობით გადმოსულ მოსწავლეს დამრიგებელი აცნობს კლასს, სკოლის ინფრასტრუქტურას, მასწავლებლებს, შინაგანაწესს. ბიბლიოთეკართან თანამშრომლობით გადასცემს წიგნებს. მოსწავლის კანონიერ წარმომდგენელთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.
ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ასაკისთვის შესაბამისი ზომის ავეჯით, კონკრეტულად დაწყებით და საბაზო საფეხურზე მათი ასაკის შესაბამისი სასკოლო მერხებით, დაფის დაკიდების სიმაღლე გათვლილია მათ ასაკზე. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილები, პანდუსი,4 ლიფტი, ეტლით მოსარგებლე მოსწავლის არსებობის გათვალისწინებით. რესურს ოთახი პირველ სართულზეა განთავსებული. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი.

**ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა კლასს ხელმძღვანელობს დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლე სწარადგენს კლასის წინაშე. ასევე დამრიგებელს ახალი მოსწავლე გაჰყავთ სასკოლო სივრცეში, აცნობს გარემოს, სკოლის წესებს, ტრადიციებს, აცნობს შინაგანაწესს.

სკოლის მიერ დამტკიცებულ ადაპტაციის წესში განსაზღვრულია მექანიზმები სკოლაში ყველა მოსწავლის ადაპტირებისათვის, რომელიც ასევე ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენას. სკოლის დირექტორმა მოიყვანა რამდენიმე მაგალითი: გადმოსული მოსწავლეების შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს არ ჰქონდა ქართული ენის საბაზისო უნარები და რა გააკეთა სკოლამ მისი ადაპტაციისთვის, ასევე გადმოსული რთული ქცევის მქონე მოსწავლის შემთხვევაში განავრცო სკოლის მიერ გაწეული საქმიანობა. არ დაივიწყა პანდემიის შემდგომი პერიოდი, როდესაც მოსწავლეებს ჰქონდათ სოციალიზაციის პრობლემა და დაწყებითი კლასის მოსწავლეების შემთხვევაშიც განმარტა სკოლის საქმიანობა. ანალოგიური დაადასტურეს კლასის ხელმძღვანელებმაც ინტერვიურების პროცესში.

სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაცია ყოველწლიურად ახორციელებს ვიზიტს სკოლის ახლომდებარე საბავშვო ბაღთან, აწარმოებს შეხვედრას მშობლებთან, სადაც აცნობს სკოლის მიღწევებს, სკოლის სპეციფიკასა და პრიორიტეტებს. ინფორმაცია მიეწოდება ყველა დაინტერესებულ პირს. პირველ კლასელთა მასწავლებელი აწყობს პირველკლასელების საზეიმო მიღებას წინასწარ მორთულ საკლასო ოთახში, ხოლო შემდგომ ეტაპზე ხდება სკოლის სტრუქტურის გაცნობა ახალწვეულებისთვის. მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით მომავალი პირველ კლასელები ღებულობენ მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაწყების პირველი დღის საზეიმო ღონისძიებაში. სკოლა პირველ კლასელთა რეგისტრაციას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი საფეხურების შესაბამისად. პირველ ეტაპზე სკოლაში ირიცხება სსსმ მოსწავლეები, მეორე ეტაპზე სკოლის თანამშრომელთა შვილები და მოსწავლეთა დედმამიშვილები, შემდეგ კომპლექტდება ჯგუფი, პირველ კლასელთა დოკუმენტაცია, რის საფუძველზე პედაგოგი ქმნის სოციალურ ქსელს მშობლებთან ურთიერთობისათვის. მასწავლებელი იცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონფიდენციალურობას მშობლებთან ურთიერთობაში. მშობელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე პედაგოგი გეგმავს შესაბამის აქტივობებს და მუდმივ კონტაქტშია მათთან წერილობითი ფორმით თუ სოციალური ქსელის საშუალებით.

**ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სკოლა აძლევს მკაფიო და გასაგებ უკუკავშირს ზეპირსიტყვიერად, წერილობით, დამატებითი მომსახურეობით, სასკოლო ღონისძიებებში ჩართვით, მშობლებთან ინფორმირებულობითა და თანამშრომლობით. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის ვალდებულება აქვს თითოეულ მასწავლებელს. ისინი აკვირდებიან მოსწავლეებს, ატარებენ დიაგნოსტიუკურ წერებს მოსწავლის ძიერი და განსავითარებელი მხარეების დასადგენად და ეხმარებიან მათ დამატებითი მეცადინეობების სახით შედეგის გასაუმჯობესებლად. სკოლას ასევე აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმები და წესად აქვს გაწერილი პროცედურებიც. სკოლის თანამშრომლებმა ინტერვიურებს დროს განაცხადეს, რომ დიდ ყურადღებას აქცევენ მოსწავლის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას. ვინაიდან მათ არ ჰყავთ ფსიქოლოგი. მასწავლებლების განმარტებით, მოსწავლეებს ხშირად საკუთარი ფსიქო ემოციური მდგომარეობას არ აძლევს საშუალებას იზრუნონ აკადემიური მიღწევების ან ქცევის გაუმჯობესებაზე, ასეთ შემთხვევაში დირექცია და დამრიგებელი აქტიურად არის ჩართული მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში და ისინი ზრუნავენ კლასსათებისა და სხვასახვა აქტივობების გამოყენებით შექმნილი პრობლემის გადაჭრაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ტარდება მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ხელშემწყობი სხვადასხვა სემინარები, შეხვედრები, დამატებითი მეცადინეობები და პროექტები. სკოლა ინტერესების სფეროს მიხედვით ემსახურება მოსწავლეებს.
სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია საშემოდგომო გამოცდებისა და ექსტერნატის გამოცდებისთვის მოსწავლეთა მომზადების პროცესში მასწავლებელთა მხრიდან გასაწევი კონსულტაციების ვალდებულება; სასწავლო წლის ბოლოს საშემოდგომო გამოცდების განსაზღვრის შემდეგ კლასის დამრიგებლის მონაწილეობით დგება თითოეულ საგანში ჩასატარებელი კონსულტაციების განრიგი. სკოლას აქვს პრაქტიკა (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე) სწავლის სირთულის მქონე მოსწავლეებისთვის მასწავლებლებმა ჩაატარონ დამატებითი საათები კითხვის გასაუმჯობესებლად, სხვადასხვა სასწავლო გამოწვევის დასაძლევად.

**ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა გამოხატავს მხარდაჭერას მოსწავლის მშობლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიმართ და ახორციელებს მათ მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ვადებში. სკოლაში მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება. მაგალითად ხელშეკრულების გაფორმება, მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის მშობლისათვის მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება, რაც შემოსული და გაცემული დოკუმენტაციის ჟურნალებში დასტურდება.

მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე ხდება მათი უფლებების გაცნობა, ასევე მოსწავლეებთან კლასის საათზე ხდება მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან იქვე ეცნობიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. მაგალითად იმას, რომ მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. ასევე უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას ესწრებოდეს თვითონ და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, რომლის შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი, ეს აქტი უნდა გაეცნოს მშობელს, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს იგი.
სკოლას ასევე ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისათვის შემუშავებული აქვს ,,მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“ და ,,განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი“.

**ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას ატიურად ანხორციელებს ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. ამ მიზნით მასწავლებლები ცდილობენ დაგეგმონ ისეთი პროექტები, კომპლექსური დავალებები, რომელშიც მოსწავლეები შეძლებენ არაფორმალური განათლების დროს მიღებული გამოცდილების ტრანსფერს. ასევე ინტენსიურად ტარდება შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები ფეხბურთში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ხშირად აწყობს მოსწავლეების ნახატების გამოფენას, შეხვედრებს სხვასახვა ხელოვან ადამიანებთან. მოქალაქეობის და მუსიკა-ხელოვნების მასწავლებლების ხელმძღვანელობით ჩატარდა ღონისძიება ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით ,,26 მაისი“. მოსწავლეებს ჩაუტარდათ სემინარები ამ დღის მნიშვნელობაზე, შემდეგ კი კონცერტით აღნიშნეს დამოუკიდებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დღე. მუსიკის მასწავლებელმა განახორციელა ნპროექტი ,,ნოტი, როგორც ასეთი..“, რომლის მიზანი იყო სწავლა -სწავლების პროცესის ორიენტირება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე, ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაზე. სკოლასი განხორციელდა პროექტი „საუკეთესო კალიგრაფი“, I-II-III-IV-V-VI-VII,VIII-IX კლასის მოსწავლეების მონაწილეობით, ქართული ანბანის განსაკუთრებულობის შეგრძნების, ლამაზად წერის პოპულარიზაციის, ფანტაზიის უნარის განვითარებისა და გემოვნების დახვეწისათვის. მათემატიკის კათედრის მიერ განხორციელდა სასწავლო პროექტი მათემატიკაში ,,მოსახლეობის აღწერა“, უცხო ენის კათედრის მიერ განხორციელდა პროექტი ,,Life in the past (ცხოვრება წარსულში)“. მოსწავლეებმა აღნიშნული პროექტით გამოიტანეს დასკვნები წარსულსა და 21 -საუკუნის მნიშვნელობაზე, ღირებულებებზე, ტრადიციასა და სტერეოტიპებზე. გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელის განხორციელდა პროექტი ,, პროექტი-„ენერგოეფექტურობა გონივრული არჩევანია“, რომლის იდეა ენერგოეფექტური სახლის მაკეტის შექმნა და ენერგიის დანახარჯის შემცირებასთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტა იყო. პროექტის მიზანი- მოსახლეობაში ცნობიერების ზრდა ენერგიის ჭკვიანურად გამოყენების საჭიროების შესახებ. ასევე მათი აქტიური ჩართვა ენერგოდამზოგავ ღონისძიებეში.

კლასის დამრიგებლები აქტიურად ატარებენ კლასსაათებს სხვასხვა თეამაზე, მაგალითად მე-5 კლასში ჩატარდა კლასსაათი თემაზე ,, ,,ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვები’’, ასევე კლასსაათის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო შემეცნებითი ექსკურსია მცხეთის ისტორიულ ადგილებზე, კერძოდ: ჯვარი,ზედაზენი,სამთავროს დედათა მონასტერი, სვეტიცხოველი, საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმი. კლასსაათის ფარგლებში ესტუმრნენ მოსწავლეები მესხეთის დრამატულ თეატრს, დაათვალიერეს თეატრი და დაესწრნენ სპექტაკლს “მაკნატუნა“.

2023 წლის მაისის თვეში ზარზმის საჯარო სკოლაში ჩატარდა სკოლებს შორის შეჯიბრი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის? მოწვეილი იყვნენ ახლომდებარე სოფელ ჭელისა და სოფელ გომაროს სკოლის მოსწავლეები. მიზანი იყო მოსწავლეებს შორის ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?" , მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლე ახალგაზრდობის ინტელექტუალური დონის ამაღლება, წიგნიერებისა და ცოდნის წახალისება, მათი მოტივირება და ნიჭიერი ბავშვების წარმოჩენა, ასევე ინტელექტუალური განვითარების პროპაგანდა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში შექმნილია ლიტერატურული კლუბი ,,ჩემი სამყარო“ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. 1კლუბს მიზნად აქვს დასახულ ლიტერატურის პოპულარიზაცია, მოსწავლეებში წიგნიერებისადმი ინტერესის გაზრდა და ლიტერატურული გემოვნების დახვეწა, მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარება, აქტიური მოსწავლეების აღმოჩენა და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარება, სალონური ტიპის საღამოების ჩატარება და ინტელექტუალური, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ გეგმავს ახალი სასწავლო წლისათვის სამოქალაქო კლუბის ჩამოყალიბებას მოსწავლეთა ინიციატივითა და მათი ინტერესებიდან გამომდინარე.
2023 წლის 21 მარტს სპეციალურ მასწავლებელთან ერთად ჩატარდა ღონისძიება მიძღვნილი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.
2023 წლის 25 მარტს ხელოვნების მასწავლებელთან და სპეც. მასწავლებელთან ერთად ჩატარდა ღონისძიება მიძღვნილი დედამიწის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც VII-VIII-IX კლასების მიერ იყო ორგანიზებული.
სკოლა აქტიურად სთავაზობს მოსწავლეებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თუ სხვა ორგანიზაციებიდან მოწოდებულ პროექტებს, აქტივობებს. მუდმივად ხორციელდება წარმატებული მოსწავლე-მასწავლებლების წახალისება.

**ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის დირექტორის განმარტებით, ნებისმიერი პროექტის თუ აქტივობის განხორციელების შემდეგ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა თუ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, რომელიც შეიძლება მოწოდებული იქნას, როგორც ზეპირად, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში ან გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებული კომენტარის სახით ან კიდევ პირისპირ შეხვედრებზე. ამ უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას, რათა მეტად შეუწყოს ხელი მათ თავი იგრძნონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. სკოლის დირექტორმა აღნისნა, რომ სკოლა ახალი სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლისათვის გეგმავს მექანიზმების შემუშავებას, მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების, გამოკითხვას, რათა სკოლამ გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება.

**ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. პრეტებისა და ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტები და ფოტო მასალა;
4. სადამრიგებლო პროგრამები;
5. კათედრის სხდომის ოქმები;
6. დისციპლიური კომიტეტის ოქმები;
7. კლუბების დებულებება;
8. ვიზუალური დათვალიერება;
9. შინაგანაწესი;
10. კლასსაათის მასალები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის დამრიგებელი ატარებეს კლასის საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად, განსაკუთრებით მეცხრე კლასში. სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლაში ხშირად იმართება შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრები და კომუნიკაცია ხელს უწყობს მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. ასევე სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ მომავალში გეგმავს თანამშრომლობას ადიგენსა და ახალციხეში არსებულ პროფესიულ სასწავლებლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებთან თანამშრომლობას.

**ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით მშობელთა კრებებზე, კლასის საათებზე.
სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მოსწავლეები ეცნობიან საქართველოში არსებული პროფესიული კოლეჯების შესახებ ინფორმაციას, ასევე რადგან სკოლა ახორციელებს მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურის სწავლებას, სკოლა ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს იმ მეზობელი სკოლების შესახებ, რომლებიც ანხორციელებენ საშუალო საფეხურის სწავლებას, რათა მოსწავლემ სურვილის შემთხვევაში გააგრძელოს სწავლა მისთვის სასურველ სკოლაში.

**ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუდან დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად იღებს უკუკავშირს საკუთარი მოსწავლეებისაგან, მშობლებისგან. უკუკავშირის ფორმაა შეხვედრები დამრიგებლის საათზე, temas ელექტრონული პლატფორმა, სოციალური ქსელი, მშობელთა კრებები.

**ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ დირექციასთან
- ფოტომასალა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობა

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, აქვს დამტკიცებული მონიტორინგის წესი, ჰყავს შიდა მონიტორინგის ჯგუფი და ხდება ინკლუზიური განათლების ხარისხის შეფასება. სსსმ მოსწავლის განვითარების შეფასება ხდება სასწავლო წლის განმავლოობაში 4 ჯერ, რაც ასახულია შესაბამის ოქმებში. სპეციალური მასწავლებელი მუშაობს როგორც საგნის მასწავლებელთან ასევე მშობელთან მოსწავლის სწავლა სწავლების პროცესის გამარტივების მიზნით. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული გეგმა, სადაც თითოეული მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლის ჩართულობაზე, განვითარებასა და დასახული გეგმების დაძლევაზე. სკოლაში ხშირადა ტარდება მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებელი აქტივობები. სკოლაში ამ ეტაპზე სწავლობს 1 სსსმ მოსწავლე. მასთან მუშაობს 1 სპეციალური მსწავლებელი. სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11იანვრის N04/ნ ბრძანებით. მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება 4 ეტაპად. პირველ ეტაპზე ხორციელდება სსსმ მოსწავლეთა რეგისტრაცია. მოსწავლე ირიცხება სკოლაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

**ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სსსმ მოსწავლისთვის სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფები. ისგ ჯგუფის წევრები არიან: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლის საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი. ისგ ჯგუფის წევრები უზრუნველყოფენ სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობენ მის განხორციელებას.

**ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის ოქმი
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.**

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისათვის არ ახორციელებდა მოსწავლეებისათვის დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, როგორიც არის გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა. დირექტორის განმარტებით 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლას აქვს მზაობა და გეგმავს კვების ობიექტის- სკოლის ბუფეტისთვის ფართის კანონმდებლობის სრული დაცვით გაიჯარებას.

ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა არ ახორციელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას.

ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შესაბამისად, „შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს“ ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია.

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა არ ახორციელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას.

ინდიკატორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

...........................................................................................................................................................................................

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

## ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი -დაწყებითი საფეხური** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას შემუშავებული აქვს ყველა საგნის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს, შეხედულებებს, შესაძლებელობებს და პრიორიტეტებს. 2022-2023 სასწავლო წლის მარტიდან პედაგოგეგბმა გაიარეს ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგები და ქოუჩებთან კონსულტაციის შედეგად კათედრებზე შეიმუშავეს კურიკულუმის ჩარჩოები, რომელთა დახვეწასა და გაუმჯობესებასაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლისათვის. სკოლამ შეიმუშავა კურიკულუმის დაგეგმვასთან დაკავშირებული კითხვარები, რომელთა მიხედვითაც მონაცემები შეგროვდა მასწავლებლებისაგან, მოსწავლეებისა და მშობლებისაგან. შეკითხვები ისე იყო დალაგებული, რომ თვალსაჩინო გამხდარიყო მათი ინტერესები და საჭიროებები. დაწყებითი კლასის სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში გააცნეს კურიკულუმის არსი და ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართება სასკოლო კურიკულუმთან. მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება, სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა მშობლის ბარათის მეშვეობით. კურიკულუმის შემუშავების ამჟამინდელ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; მათზე დაფუძნებით განხორციელებული სასწავლო პროცესი კი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რადგანაც ითვალისწინებს ყველა მოსწავლის შესაძლებლობებს. კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. კათედრებს აქვთ ხედვა, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპონენტის გაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პოროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით კიდევ უფრო სიღრმისეულად დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით შეიქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. დაწყებითი კლასების კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების მთავარ გამოწვევად ესახებათ შეფასების სისტემის მაქსიმალურად დახვეწა, კომპლექსური დავალებების დახვეწა და სასწავლო პროცესში მათი აქტიურად გამოყენება, ასევე დიფერენცირებული სწავლების მეთოდების აქტიურად დანერგვა და სასკოლო საზოგადოების მეტად ჩართვა კურიკულუმის შემუშავებაში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

***დაწყებითი საფეხურის*** *ყველა საგნობრივი ჯგუფის სასწავლო პროგრამების კურიკულუმი* ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, მასწავლებლები მათ მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე აანალიზებენ, თუ რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მნიშვნელოვანი ცვლილებების დაგეგმვაა საჭირო, სასწავლო პროგრამა რომ სრულფასოვანი და ეფექტიანი იყოს. ისისნი გამოთქვამენ მზაობას, სასკოლო კურიკულუმში ასახონ სასკოლო საზოგადოების, მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა , სხვა წევრების ინტერესები. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა შესაძლებლობას იძლევა, რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებიც. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. კურიკულუმზე მუშობის პროცესში, დაწყებითი კათედრის წევრებმა საგნობრივად გამოკვეთეს მოსწავლეთა ინტერესები, მათთვის განსაკუთრებით საინტერესოა სწავლა თამაშითა და კეთებით, ინიციატივის გამოჩენით ახალი პროდუქტის შექმნა. სკოლა შეეცდება მაქსიმალურად ასახოს მათი ინტერესები და შესაძლებლობები კურიკულუმებში. ,,ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში დაწყებით კლასებში მოსწავლეებს აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნის ( პოსტერი, მაკეტი, დიორამა, , კომიქსები . .. ) გამოცდილება. სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში საგაკვეთილო გარემოში. პედაგოგებმა როგორც აღნიშნეს,მშობლების უკუკავშირი ძალიან ეხმარება მათ სწორი სტრატეგიეის დაგეგმვაში.

შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების და კათედრების ოქმებიდან ირკვევა, აღნიშნულ პროცესში ჩართულია კათედრის თითოეული წევრი. ასევე, ხდება სხვა საგნობრივი კათედრების წევრებთან და სკოლის ადმინისტრაციასთნ ინფორმაციის გაცვლა- გაზიარება. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების დოკუმენტში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა, ხოლო არჩევითი საგნების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ასევე, გასაუბრებისას ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან). ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცსში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

**ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

დაწყებითი კლასების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს. სამომავლოდ იგეგმება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნილი კურიკულუმების გაზიარება სკოლის ფეისბუქგვერდისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გაააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაცია, გაააქტიურონ სკოლის ვებგვრდი, რომელზეც შესაძლებელი იქნება ყველა საჯარო დოკუმენტის ხელმისაწვდომობა.

შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საინფორმაციო დაფაზე გამოკრული დოკუმენტაცია.
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

დაწყებითი საფეხურის სახელმწიფო ენის, მათემატიკის, უცხო ენების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ფიზიკური აღზრდის, ესთეტიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (შემდგომში ,,**საგნობრივი ჯგუფები**'')საგნობრივი ჯგუფების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები(შემდგომში ,, **საგნობრივი კურიკულუმები''**) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის შედეგებსა და გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე. წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია რა თემებს, რა საგნობრივ საკითხებს და რა სასწავლო რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. სამიზნე ცნებების გააქტიურების მიზნით კათედრა კურიკულუმის შემუშავებისას უპირატესობას ცხოვრებისეულ კონტექსტზე აგებულ კომპლექსურ ან კომპლექსური ტიპის დავალებებს ანიჭებს, რადგან მოსწავლე ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს. საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები და შესაბამისი კონტექსტმაგალითები, რომლებიც მიემართებიან გრძელვადიან მიზნებს. კათედრამ წარმოადგინა დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებისთვის განმავითარებელი და V-VI კლასებისთვის კი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მნიშვნელოვანია, რომ ყველა საგანში სავალდებულო თემის ფარგლებში მეტ-ნაკლებად ყველა შედეგი და ყველა სამიზნე ცნება მუშავდება. სასწავლო წლის ბოლოს კი დაიხვეწება კურიკულუმი, შეივსება სასწავლო რესურსებითა და მეტი კომპლექსური/კომპლექსური ბუნების დავალებებით (საბუნებისმეტყველო, უცხო ენისა) . მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმა კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რჩევა: სასურველია, მომავალი სასწავლო წლიდან, კათედრის წევრებმა ისე დაგეგმონ კურიკულუმები, რომ მასში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები, თითოეული თემის ფარგლებში, უზრუნველყოფდეს ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას.

**ინდიკატორი 2.1.2.1 არის დაკმაყოფილებული.**

**2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში იკითხება, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. წინასწარ განსაზღვრულ კომპლექსურ დავალებებში გაწერილია ძირითადი საკითხების დამუშავების დროს მისაღწევი სამიზნე ცნებები და შედეგები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის ასაგებად და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას.

**ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სასწავლო პროცესი რომ ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, დასტურდება მოწოდებული დოკუმენტაციით. დოკუმენტაციიდან ირკვევა , რომ დაგეგემილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კერძოდ, სკოლა საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს მულტიდისციპლინარულ გუნდთან. სკოლას მტკიცებულებების სახლით წარმოდგენილი აქვს 2022-23 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩარჩულია სასკოლო საზოგადოება. ამას ადასტურებს წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის სხდომის ქომი ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმი N-1, ყველა საგნის ინდივიდუალი სასწავლო გეგმის ნიმუში. 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ინკლუზიური განათების სწავლების ამოცანები და შინაარსი. მასწავლებლებმა ინტერვიუზე იმსჯელეს კონკრეტული სამიზნე ცნებების, აქტივობების სასწავლო მიზნების შესაბამისად როგორ ახდენენ სასწავლო პროცესის დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. დასკვნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

**ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში (მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა) მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები. დანართის სახით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს ზოგად რუბრიკებს როგორ გარდაქმნიან სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით. ასევე იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის. მასწავლებლები წინასწარ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ინფორმირებას განმავითარებელი შეფასების რუბრიკების თაობაზე. მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან განმავითარებელ შეფასების სქემებს, მეთოდებსა და აქტივობებს ( რუბრიკები, მაორგანიზებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები ...). თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას. შესაფასებელი აქტივობები მორგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ასევე, მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ მაგალითებზე ,როცა თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს/ცოდნას. სასწავლო წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები წერენ მოსწავლის მოკლე წერილობით დახასიათებას, რომელშიც აფასებენ მოსწავლის აქტუალური ცოდნის დონეს, მის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. სამომავლოდ იგეგმება განმავითრებელი შეფასების დახვეწა და მუშაობა გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

**რჩევა**: სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების დახვეწა. კერძოდ, რუბრიკები იყოს მაქსიმალურად კონკრეტული, ისინი უნდა აკონკრეტებდეს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით.

**ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5**. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. წარმატებებისა და გამოწვევების ანალიზზე დაყრდნობით ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განიხილება განხორციელებული აქტივობები, მიღწეული შედეგები, რომელთა ანალიზიც გამოიყენება მომდევნო სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესის სწორად დასაგეგმად. 2023-2024 წლისათვის სკოლამ განიხილა არსებული წარმატებული გამოცდილება და გამოავლინა პრობლემები, რომელთა გაანალიზებითა და შედეგების გათვალისწინებით დაიხვეწება კურიკულუმები. მასწავლებლები გამოკვეთენ პრიორიტეტებს და ამის გათვალისწინებით დაგეგმეს ახალი დავალებები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმებით;

ინკლუზიური განათლების პროგრამით;

ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი 1(2023)

ისგ ჯგუფის ოქმი 2 პირველი სემესტრის დასრულებისას (2022-2023)

ისგ ჯგუფის ოქმი 3 მეორე სემესტრი (2022-2023)

კათედრის ოქმით;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით;

ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**
**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

დაწყებითი საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი კონტექსტ-მაგალითები და რესურსები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. აღნიშნული მეთოდით სწავლება უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით. დოკუმენტაციის და გასაუბრებების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი 2.2.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. წარმოდგენილ კურიკულუმებში სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ითვალისწინებს წინარე ცოდნას და მასზე ახალი ცონის დაშენებას. წინარე ცოდნის გათვალისწინება აადვილებს ცოდნის კონსტრუირების პროცესს. შერჩეულია მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ახლოს მდგომი კონტექსტები. მასწავლებელბმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფორმალურ და არაფორმალური განათლებას გეგმავენ იმგვარად, რომ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმოადგენს წინარე ცოდნას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას და პირიქით. კათედრები არსებულ პრაქტიკას სამომავლოდ კიდევ უფრო გააძლიერებენ, მათ გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას.

**ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკამყოფილებული.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების და ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების საკვანძო შეკითხვებზე მუშაობა სწორედ მეტაკოგნიციას გულისხმობს. მოსწავლეს უწევს საკუთარი სასწავლო პროცესის ანალიზი, თვითშეფასება, დაგეგმვა, მისთვის მოსახერხებელი სწავლის სტრატეგიების შერჩევა. სკოლის თვიშეფასების განაცხადშიც აღნიშნულია და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგადაც დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და წახალისებულია მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მასწავლებელთა ინტერვიურების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დაწყებით საფეხურზე წაროდგენილ საგნების ჩარჩო კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, კომპლექსური დავალებების კონტექტს მაგალითები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძილერებასა და მათ დაინტერესებას. მოსწავლეს საშუალება აძლევა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეცნიერების თვალსაზრისით. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი ისეთ აქტივობებიში რომელიც გულისხმობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას მაგ. ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?", სახვით და გამოყენებითი ხელოვნების საგნის ფარგლებში განხორციელებული პროექტი, სადაც დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა სხვადასხვა მსალითა და სტრატეგიებით შექმნეს გარემოს ამსახველი მაკეტები. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა სტრატეგიებზე, რომელივ ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის სწავლის უნარების განვითარებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

**ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკამყოფილებული.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია საგნობრივ კურიკულუმებში და დავალების ბარათებში. ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტირებულად, აღწერეს კომპლექსური დავალების და სხვა დავალებების არჩევის პრინციპი, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?", "რაში გამომადგება მიღებული ცოდნა".

**ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკამყოფილებული.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სკოლა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრა ქტიურად გეგმავს და ახორციელებს არაფორმალური განათების კუთხით მრავალფეროვანს აქტივობებს ( მაგ. გაკვეთილები მუზეუმებში/თეტარში სასკოლო ინტეგრირებული ღონისძიებები). წარმოდგემილი დოკუმეტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში კათედრა ზრუნავს მოსწავლეებში სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს. , ეს მსჯელობა მასწავლებლებმა უფრო გაამყარეს ინტერვიუს პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორი 2.2.1.5 სრულად არის დაკამყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სასწავლო პროექტები
- რა? სად? როდის?
- ახალი წელი 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თეატრი 2023 მე-5 კლასი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

.დაწყებით საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებისკენ მიმართულ კომპლექსურ დავალებებს. ასევე, გეგმავს კურიკულუმის შევსებას ახალი კომპლექსური დავალებებით. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმი, ასევე, რეალიზებული კომპლექსური დავალებები მიმართული იქნება სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის გააზრებულ კავშირზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კომპლექსური დავალებების თემატიკა, საკლასო აქტივობები, სასწავლო პროექტები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითარება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა და პასუხისმგებლობა. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები,წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად რუბრიკების შექმნას.

**ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკამყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

დამატებით დოკუმენტებში სკოლამ გადმოაგზავნა განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური და სანდო. სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის ყველა საგნობრივი ჯგუფისთვის შემუშავდება შესაბამისი რუბრიკები, რომელიც დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან , განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებიდან თუ მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში, თუმცა , მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის, კათედრაზე გეგმავენ, შეიმუშაონ უფრო კონკრეტული და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები იქნება მორგებული. სკოლას აქვს მზაობა , შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვა, რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.

**ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მათ მეტ-ნაკლებად გააზრებული აქვთ შეფასების ამ მექანიზმის მუშაობის მნიშვნელობა . მზაობა აქვთ, მომავალი წლიდან აქტიურად დაინერგოს და გამოიყენონ ხარისხის შეფასებისა და გაზომვისთვის ვერიფიკაციის მექანიზმი. რომლის ამოცანაა:

- ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი;
- გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად;

დოკუმენტში ასევე მკაფიოდაა განსაზღვრული ვერიფიკაციის პრინციპები, პროცესი , პასუხისმგებელ პირი/პირები. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ,

**ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას კლასის/საფეხურის დაძლევა- არ დაძლევის შესახებ. წლის ბოლოს ივსება მოსწავლის პირადი საქმე, იწერება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პირადი საქმეები ინახება დაცულ ადგილას და პასუხისმგებლობა აკისრია საქმის მწარმოებელს. მიმდინარე შეფასებები, დავალებები ინახება კათედრაზე და პასუხისმგებელია კათედრის ხელმძღვანელი.

**ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკამყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

დაწყებით საფეხურზე მხარდამჭერით და მიმღებლობით გარემოს უზრუნვალსაყოფად შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მოსწავლე მასწავლებლისგან მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას. ყველა მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ ეშინია შეცდომების დაშვების, როცა რაიმეს ვერ გაიგებს, მასწავლებელი სხვაგვარად უხსნის, გაკვეთილები ხალისიანი აქტივობებით არის დატვირთული, გაკვეთილზე გამოყენებულია ტექნოლოგიები, მოსწავლეს ყოვეთვის აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს. მზრუნველია და ყოველთვის მზად არის მოსწავლის დასახმარებლად. ბავშვები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, პატივს სცემენ ერთმანეთს. სამომავლოდ იგეგმება სკოლის ციფრული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტრანსფორმაცია. სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ და სსსმ საჭიროებებზე. საკლასო ოთახებში შექმნილია პოზიტიური გარემო, სადაც მოსწავლე თავს იგრძნობს კომფორტულად. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს, პრობლემაზე ორიენტირებულ კომუნიკაციას. სახელმწიფო ენის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკამყოფილებული.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სასწავლო პროცესი იგება მოსწავლეზე ორიენტირებულად. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ სწავლების მეთოდებსა და მიდგომებს. თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება პროგრესზე, რომელიც იზომება არა დაგროვებული ფაქტობრივი ცოდნით, არამედ, მოსწავლეთა კომპეტენციებით. რაც არამარტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებით , არამედ თვითშეფასების კითხვარითაც დასტურდება. პედაგოგები რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, ისინი აანალიზებენ მონაცემებს თითოეული მოსწავლის, საგაკვეთილო პროცესისა თუ საერთო პრობლემური საკითხების შესახებ და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. თითოეული ასეთი შეხვედრა უკავშირდება სწავლა- სწავლებაში არსებულ პრობლემებსა და მისი გადაჭრის გზებზე მსჯელობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების საფუძველზე, სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად რომ წარიმართება, ამის ერთ-ერთი მაგალითია მოსწავლის ინტერესების და საჭიროებების შესაბამისი კომპლექსური დავალებების და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს გააძლიერებს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მიმართულებით მუშაობა. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებს. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

**ინდიკატორი 2.2.3.2 შეფასდა როგორც “შესაბამისი”**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

წარმოდგენილ კათედრის სხდომის ოქმებიდან, ასევე სამუშაო შეხვედრის ოქმებიდან ჩანს, რომ კათედრის წევრთა შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს. ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „ კრიტიკული მეგობარი“. ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ თანამშრომლობას მოსწავლებთან და მათ მშობლებთან. ერთობლივად ზრუნავენ მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, კურიკულუმების შემუშავებაზე. კათედრის წევრთა შორის გუნდური მუშაობა, გამოცდილების გაზიარება, სკოლაში მიმდინარე ერთ-ერთი მნშვნელოვანი პროცესია. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

დაწყებით საფეხურზე არსებობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატი, რომელიც გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს/მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. სასკოლო პროექტების წარმატებული განხორციელება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის უფლება, რა ფორმით ჩაერთვებიან სასკოლო თუ სასწავლო პროექტებში, აქტივობებსა და საკლუბო მუშაობაში. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლის საჭიროებების მუდმივ მონიტორინგს დაკვირვებაზე დაფუძნებული პორტფოლიოების, რუბრიკების ან პროექტების მეშვეობით. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ქართულის კათედრის ოქმები
- სასწავლო პროექტები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შეფასება:**
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით , სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება გაწერილია სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშვების მეთოდოლოგიაში,ასახულია, თუ როგორ და რა აქტივობებით და საშუალებებით განხორციელდება სკოლის და საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სამომავლოდ სკოლა გეგმავს , რომ კვლევა და შეფასება ჩატარდეს დაგეგმვის ეტაპზე და წარიმართოს სამი მიმართულებით:

ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება ( პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);

გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება ( სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

შესაბამისად მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით.

**ინდიკატორი 2..3.1.1 სრულად არის დაკამყოფილებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმეტების მიხედვით, დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდა სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის თვითშეფასების ანგარიშში ასახულია, რომ პედაგოგების მოსწავლეებთან და მშობლებთან აქტიური კომუნიკაციით ზომავენ არსებული შედეგებს . ასევე, შეუძლიათ გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, ზეპირი უკუკავშირისა და დამრიგებლის საათისა და მშობელთა კრების საშუალებით. იდენტიფიცირებული გამოწვევების შემდეგ სასკოლო საზოგადება ზრუნავს პრობლემის მოგვარებაზე. სკოლის პერსონალთან გასაუბრების შედეგად ნათელი გახდა, რომ სკოლას აქვს ხედვა და მზაობა იმისთვის, რომ მომავალში სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შეფასების მონიტორინგის სისტემა დახვეწოს, რომლის ფუნქციაც იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. მომავალში უკეთესი შედეგების მისაღწევად სკოლა ეფექტურ გზად მიიჩნევს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, მათგან უკუკავშირს, რომ მაქსიმალურად მოხდეს მათი ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენა და მაქსიმალური მხარდაჭერა.

**ინდიკატორი 2..3.1.2 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი ჯგუფების კათედრებმა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საწყის ეტაპზე აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საგნობრივი კურიკულუმებით;
ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუების და ვიზიტის დროს წარდგენილი „კურიკულუმის შედგენის და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის საფუძველზე, ვლინდება, რომ დაწესებულებაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. თვითშეფასების ანგარიშში ასახულია, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. სასწავლო პროცესში გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლაში გამოყენებულია სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები: კომპლექსური დავალების შეფასება, კომპლექსური დავალების რეფლექსია, მოსწავლეთა თვითშეფასება, დიაგნოსტიკური შეფასება და სხვა.

**ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მასწავლებლებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა,რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, რაც მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას იძლევა . კომპლექსური დავალებებისა და პროექტული სწავლების ფარგლებში შექმნილია საინტერესო ნამუშევრები, პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისათვის, როგორც სკოლის თვითშეფასების განცხადშია აღნიშნული, მიმართავენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, კლასის საათზე მოსწავლეთა გამოკითხვას, მშობელთა კრებებზე პრობლემური საკითხების განხილვას, ხდება მონაცემების გაანალიზება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეაფსებას. გეგმავენ არსებული მეთოდების გამრავალფეროვნებას . მოსწავლეთა ინტერესების კვლევა კითხვარების გამოყენებთ, გასაუბრება და სხვა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე ინდივიდუალურად და შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ

შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის პერსპექტივაში მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლას, იაზრებს მოსწავლის სწავლის პროცესზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. მულტიფაქტორული მიდგომა ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში.შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ქართულის კათედრის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**შეფასება:**
☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას და სკოლაში ვიზიტის დროს წარდგენილი „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, პუნქტ 1.2. „პრინციპები, რომელიც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების პროცესს“ ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი:„კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ დაწყებითი და საბუნებისმეტყველო კათედრების წევრებთან ინტერვიუს დროს იყო აღნიშნული რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობისა და ხარვეზები. ინტერვიუს დროს აგრეთვე იყო აღნიშნული რომ, მონაცემების შეჯერების საფუძველზე გათვალისწინებული იქნება წინა გამოცდილება, გაიწერება რეკომენდაციები , რათა მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ „მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში."აგრეთვე სკოლის „კურირულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის" დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. დაწყებითისა და საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოდ აღნიშნული მიდგომების მიერ თავისი მზაობა,

**ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები;

კათედრის სხდომის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**საბაზო საფეხური** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# საბაზო საფეხური

**2. სასკოლო კურიკულუმი**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

5. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
6. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
7. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
8. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას შემუშავებული აქვს ყველა საგნის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს, შეხედულებებს, შესაძლებელობებს და პრიორიტეტებს. 2022-2023 სასწავლო წლის მარტიდან პედაგოგეგბმა გაიარეს ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგები და ქოუჩებთან კონსულტაციის შედეგად კათედრებზე შეიმუშავეს კურიკულუმის ჩარჩოები, რომელთა დახვეწასა და გაუმჯობესებასაც გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლისათვის. სკოლამ შეიმუშავა კურიკულუმის დაგეგმვასთან დაკავშირებული კითხვარები, რომელთა მიხედვითაც მონაცემები შეგროვდა მასწავლებლებისაგან, მოსწავლეებისა და მშობლებისაგან. შეკითხვები ისე იყო დალაგებული, რომ თვალსაჩინო გამხდარიყო მათი ინტერესები და საჭიროებები. საბაზო კლასის სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში გააცნეს კურიკულუმის არსი და ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართება სასკოლო კურიკულუმთან. მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება, სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა მშობლის ბარათის მეშვეობით. კურიკულუმის შემუშავების ამჟამინდელ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; მათზე დაფუძნებით განხორციელებული სასწავლო პროცესი კი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რადგანაც ითვალისწინებს ყველა მოსწავლის შესაძლებლობებს. კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. კათედრებს აქვთ ხედვა, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპონენტის გაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პოროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით კიდევ უფრო სიღრმისეულად დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით შეიქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. საბაზო საფეხურის კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების მთავარ გამოწვევად ესახებათ შეფასების სისტემის მაქსიმალურად დახვეწა, კომპლექსური დავალებების დახვეწა და სასწავლო პროცესში მათი აქტიურად გამოყენება, ასევე დიფერენცირებული სწავლების მეთოდების აქტიურად დანერგვა და სასკოლო საზოგადოების მეტად ჩართვა კურიკულუმის შემუშავებაში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

***საბაზო საფეხურის*** *ყველა საგნობრივი ჯგუფის სასწავლო პროგრამების კურიკულუმი* ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, მასწავლებლები მათ მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე აანალიზებენ, თუ რა მნიშვნელოვანი ცვლილებების დაგეგმვაა საჭირო, სასწავლო პროგრამა რომ სრულფასოვანი და ეფექტიანი იყოს. ისისნი გამოთქვამენ მზაობას, სასკოლო კურიკულუმში ასახონ სასკოლო საზოგადოების, მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა , სხვა წევრების ინტერესები. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა შესაძლებლობას იძლევა, რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებიც. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ კურიკულუმში შესატან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. კურიკულუმზე მუშობის პროცესში, საგნობრივი ჯგუფების კათედრების წევრებმა საგნობრივად გამოკვეთეს მოსწავლეთა ინტერესები, მათთვის განსაკუთრებით საინტერესოა სწავლა თამაშითა და კეთებით, ინიციატივის გამოჩენით ახალი პროდუქტის შექმნა. სკოლა შეეცდება მაქსიმალურად ასახოს მათი ინტერესები და შესაძლებლობები კურიკულუმებში. ,,ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში დაწყებით კლასებში მოსწავლეებს აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნის ( პოსტერი, მაკეტი, დიორამა, , კომიქსები . .. ) გამოცდილება. სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს, როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში საგაკვეთილო გარემოში. პედაგოგებმა როგორც აღნიშნეს,მშობლების უკუკავშირი ძალიან ეხმარება მათ სწორი სტრატეგიეის დაგეგმვაში.

შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების და კათედრების ოქმებიდან ირკვევა, აღნიშნულ პროცესში ჩართულია კათედრის თითოეული წევრი. ასევე, ხდება სხვა საგნობრივი კათედრების წევრებთან და სკოლის ადმინისტრაციასთნ ინფორმაციის გაცვლა- გაზიარება. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების დოკუმენტში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო

პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა, ხოლო არჩევითი საგნების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ასევე, გასაუბრებისას ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან). ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცსში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

**ინდიკატორი 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს. სამომავლოდ იგეგმება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი კურიკულუმების გაზიარება სკოლის ფეისბუქგვერდისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გაააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაცია, გაააქტიურონ სკოლის ვებგვრდი, რომელზეც შესაძლებელი იქნება ყველა საჯარო დოკუმენტის ხელმისაწვდომობა.

შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საინფორმაციო დაფაზე გამოკრული დოკუმენტაცია.
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საბაზო საფეხურის სახელმწიფო ენის, მათემატიკის, უცხო ენების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ფიზიკური აღზრდის, ესთეტიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (შემდგომში ,,**საგნობრივი ჯგუფები**'')საგნობრივი ჯგუფების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები(შემდგომში ,, **საგნობრივი კურიკულუმები**'') წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის შედეგებსა და გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე. წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია რა თემებს, რა საგნობრივ საკითხებს და რა სასწავლო რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. სამიზნე ცნებების გააქტიურების მიზნით კათედრა კურიკულუმის შემუშავებისას უპირატესობას ცხოვრებისეულ კონტექსტზე აგებულ კომპლექსურ ან კომპლექსური ტიპის დავალებებს ანიჭებს, რადგან მოსწავლე ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს. საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები და შესაბამისი კონტექსტმაგალითები, რომლებიც მიემართებიან გრძელვადიან მიზნებს. კათედრამ წარმოადგინა დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებისთვის განმავითარებელი და V-VI კლასებისთვის კი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მნიშვნელოვანია, რომ ყველა საგანში სავალდებულო თემის ფარგლებში მეტ-ნაკლებად ყველა შედეგი და ყველა სამიზნე ცნება მუშავდება. სასწავლო წლის ბოლოს კი დაიხვეწება კურიკულუმი, შეივსება სასწავლო რესურსებით და მეტი კომპლექსური/კომპლექსური ბუნების დავალებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(საბუნებისმეტყველო, უცხო ენისა) . მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმა კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

**რჩევა**: სასურველია, მომავალი სასწავლო წლიდან, კათედრის წევრებმა ისე დაგეგმონ კურიკულუმები, რომ მასში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები, თითოეული თემის ფარგლებში, უზრუნველყოფდეს ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას.

**ინდიკატორი 2.1.2.1 არის დაკმაყოფილებული.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში იკითხება, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. წინასწარ განსაზღვრულ კომპლექსურ დავალებებში გაწერილია ძირითადი საკითხების დამუშავების დროს მისაღწევი სამიზნე ცნებები და შედეგები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის ასაგებად და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას.

**ინდიკატორი 2.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სასწავლო პროცესი რომ ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, დასტურდება მოწოდებული დოკუმენტაციით. დოკუმენტაციიდან ირკვევა , რომ დაგეგემილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კერძოდ, სკოლა საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს მულტიდისციპლინარულ გუნდთან. სკოლას მტკიცებულებების სახლით წარმოდგენილი აქვს 2022-23 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც მთელი წლის განმავლობაში გეგმავს და უწევს მონიტორინგს ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესს და ამ პროცესში ჩარჩულია საასკოლო საზოგადოება. ამას ადასტურებს წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის სხდომის ქომი ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) სხდომის ოქმი N-1, ყველა საგნის ინდივიდუალი სასწავლო გეგმის ნიმუში. 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ინკლუზიური განათების სწავლების ამოცანები და შინაარსი. მასწავლებლებმა ინტერვიუზე იმსჯელეს კონკრეტული სამიზნე ცნებების, აქტივობების სასწავლო მიზნების შესაბამისად როგორ ახდენენ სასწავლო პროცესის დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

**ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში (მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა) მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები. დანართის სახით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს ზოგად რუბრიკებს როგორ გარდაქმნიან სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით. ასევე იმსჯელეს განმავიტარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის. მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაგალითებზე ,სადაც თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს/ცოდნას. ამ მსჯელობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ,რომ დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

**რჩევა**: სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების დახვეწა. კერძოდ, რუბრიკები იყოს მაქსიმალურად კონკრეტული, ისინი უნდა აკონკრეტებდეს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით.

**ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. წარმატებებისა და გამოწვევების ანალიზზე დაყრდნობით ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომაზე განიხილება განხორციელებული აქტივობები, მიღწეული შედეგები, რომელთა ანალიზიც გამოიყენება მომდევნო სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესის სწორად დასაგეგმად. 2023-2024 წლისათვის სკოლამ განიხილა არსებული წარმატებული გამოცდილება და გამოავლინა პრობლემები, რომელთა გაანალიზებითა და შედეგების გათვალისწინებით დაიხვეწება კურიკულუმები. მასწავლებლები გამოკვეთენ პრიორიტეტებს და ამის გათვალისწინებით დაგეგმეს ახალი დავალებები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საგნობრივი კურიკულუმებით;
ინკლუზიური განათლების პროგრამით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი 1(2023)
ისგ ჯგუფის ოქმი 2 პირველი სემესტრის დასრულებისას (2022-2023)
ისგ ჯგუფის ოქმი 3 მეორე სემესტრი (2022-2023)
კათედრის ოქმით;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით;
ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3 კურიკულუმის განხორციელება

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
7. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
8. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
9. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
10. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი კონტექსტ-მაგალითები და რესურსები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. აღნიშნული მეთოდით სწავლება უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით. დოკუმენტაციის და გასაუბრებების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი 2.2.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. წარმოდგენილ კურიკულუმებში სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ითვალისწინებს წინარე ცოდნას და მასზე ახალი ცონის დაშენებას. წინარე ცოდნის გათვალისწინება აადვილებს ცოდნის კონსტრუირების პროცესს. შერჩეულია მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ახლოს მდგომი კონტექსტები. მასწავლებელბმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფორმალურ და არაფორმალური განათლებას გეგმავენ იმგვარად, რომ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმოადგენს წინარე ცოდნას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას და პირიქით. კათედრები არსებულ პრაქტიკას სამომავლოდ კიდევ უფრო გააძლიერებენ, მათ გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას.

**ინდიკატორი 2.2.1.2 სრულად არის დაკამყოფილებული.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარება. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების და ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების საკვანძო შეკითხვებზე მუშაობა სწორედ მეტაკოგნიციას გულისხმობს. მოსწავლეს უწევს საკუთარი სასწავლო პროცესის ანალიზი, თვითშეფასება, დაგეგმვა, მისთვის მოსახერხებელი სწავლის სტრატეგიების შერჩევა. სკოლის თვიშეფასების განაცხადშიც აღნიშნულია და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგადაც დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და წახალისებულია მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მასწავლებელთა ინტერვიურების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დაწყებით საფეხურზე წაროდგენილ საგნების ჩარჩო კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, კომპლექსური დავალებების კონტექტს მაგალითები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძილერებასა და მათ დაინტერესებას. მოსწავლეს საშუალება აძლევა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი ისეთ აქტივობებიში რომელიც გულისხმობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას მაგ. ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების საგნის ფარგლებში განხორციელებული პროექტი, სადაც დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა სხვადასხვა მსალითა და სტრატეგიებით შექმნეს გარემოს ამსახველი მაკეტები. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა სტრატეგიებზე, რომელივ ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის სწავლის უნარების განვითარებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

**ინდიკატორი 2.2.1.3 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია საგნობრივ კურიკულუმებში და დავალების ბარათებში. ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს კომპლექსური დავალების და სხვა დავალებების არჩევის პრინციპი, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?", "რაში გამომადგება მიღებული ცოდნა".

**ინდიკატორი 2.2.1.4 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სკოლა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები.

კათედრა ქტიურად გეგმავს და ახორციელებს არაფორმალური განათების კუთხით მრავალფეროვანს აქტივობებს ( მაგ. გაკვეთილები მუზეუმებში/თეტარში სასკოლო ინტეგრირებული ღონისძიებები). წარმოდგემილი დოკუმეტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში კათედრა ზრუნავს მოსწავლეებში სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნის

ურთიერთდაკავშირებას  და ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს. , ეს მსჯელობა მასწავლებლებმა უფრო  გაამყარეს ინტერვიუს პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ  საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორი 2.2.1.5  სრულად არის დაკამყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საგნობრივი  კურიკულუმები
- სასწავლო პროექტები
- რა? სად? როდის?
- ახალი წელი 2023
- თეატრი 2023 მე-5 კლასი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
10. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
11. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

.დაწყებით საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებისკენ მიმართულ კომპლექსურ დავალებებს. ასევე, გეგმავს კურიკულუმის შევსებას ახალი კომპლექსური დავალებებით. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმი, ასევე, რეალიზებული კომპლექსური დავალებები  მიმართული იქნება  სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის გააზრებულ კავშირზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.2.1 სრულად არის დაკამყოფილებული.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კომპლექსური დავალებების თემატიკა, საკლასო აქტივობები, სასწავლო პროექტები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითარება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა და პასუხისმგებლობა. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები,წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად რუბრიკების შექმნას.

**ინდიკატორი 2.2.2.3 სრულად არის დაკმყოფილებული.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

დამატებით დოკუმენტებში სკოლამ გადმოაგზავნა განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური და სანდო. სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის ყველა საგნობრივი ჯგუფისთვის შემუშავდება შესაბამისი რუბრიკები, რომელიც დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან , განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებიდან თუ მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში, თუმცა , მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის, კათედრაზე გეგმავენ, შეიმუშაონ უფრო კონკრეტული და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები იქნება მორგებული. სკოლას აქვს მზაობა , შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვა, რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მათ მეტ-ნაკლებად გააზრებული აქვთ შეფასების ამ მექანიზმის მუშაობის მნიშვნელობა . მზაობა აქვთ, მომავალი წლიდან აქტიურად დაინერგოს და გამოიყენონ ხარისხის შეფასებისა და გაზომვისთვის ვერიფიკაციის მექანიზმი. რომლის ამოცანაა:

- ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან;
- ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი;
- გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად;

დოკუმენტში ასევე მკაფიოდაა განსაზღვრული ვერიფიკაციის პრინციპები, პროცესი , პასუხისმგებელ პირი/პირები. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ,

**ინდიკატორი 2.2.2.5 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლის დირექტორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოსცემს ბრძანებას კლასის/საფეხურის დაძლევა- არ დაძლევის შესახებ. წლის ბოლოს ივსება მოსწავლის პირადი საქმე, იწერება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პირადი საქმეები ინახება დაცულ ადგილას და პასუხისმგებლობა აკისრია საქმის მწარმოებელს. მიმდინარე შეფასებები, დავალებები ინახება კათედრაზე და პასუხისმგებელია კათედრის ხელმძღვანელი.

**ინდიკატორი 2.2.2.6 სრულად არის დაკამყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

დაწყებით საფეხურზე მხარდამჭერით და მიმღებლობით გარემოს უზრუნვალსაყოფად შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. მოსწავლე მასწავლებლისგან მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას. ყველა მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ ეშინია შეცდომების დაშვების, როცა რაიმეს ვერ გაიგებს, მასწავლებელი სხვაგვარად უხსნის, გაკვეთილები ხალისიანი აქტივობებით არის დატვირთული, გაკვეთილზე გამოყენებულია ტექნოლოგიები, მოსწავლეს ყოვეთვის აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მასწავლებელი მუდმივად აძლევს პოზტიურ უკუკავშირს. მზრუნველია და ყოველთვის მზად არის მოსწავლის დასახმარებლად. ბავშვები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, პატივს სცემენ ერთმანეთს. სამომავლოდ იგეგმება სკოლის ციფრული ტრანსფორმაცია. სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ და სსსმ საჭიროებებზე. საკლასო ოთახებში შექმნილია პოზიტიური გარემო, სადაც მოსწავლე თავს იგრძნობს კომფორტულად. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს, პრობლემაზე ორიენტირებულ კომუნიკაციას. სახელმწიფო ენის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.3.1 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სასწავლო პროცესი იგება მოსწავლეზე ორიენტირებულად. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ სწავლების მეთოდებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიდგომებს. თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება პროგრესზე, რომელიც იზომება არა დაგროვებული ფაქტობრივი ცოდნით, არამედ, მოსწავლეთა კომპეტენციებით. რაც არამარტო გასაუბრებით , არამედ თვითშეფასების კითხვარითაც დასტურდება. პედაგოგები რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, ისინი აანალიზებენ მონაცემებს თითოეული მოსწავლის, საგაკვეთილო პროცესისა თუ საერთო პრობლემური საკითხების შესახებ და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. თითოეული ასეთი შეხვედრა უკავშირდება სწავლა- სწავლებაში არსებულ პრობლემებსა და მისი გადაჭრის გზებზე მსჯელობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების საფუძველზე, სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად რომ წარიმართება, ამის ერთ-ერთი მაგალითია მოსწავლის ინტერესების და საჭიროებების შესაბამისი კომპლექსური დავალებების და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს გააძლიერებს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მიმართულებით მუშაობა. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებს. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

**ინდიკატორი 2.2.3.2 შეფასდა როგორც "შესაბამისი"**

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

წარმოდგენილ კათედრის სხდომის ოქმებიდან, ასევე სამუშაო შეხვედრის ოქმებიდან ჩანს, რომ კათედრის წევრთა შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს. ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „ კრიტიკული მეგობარი“. ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ თანამშრომლობას მოსწავლებთან და მათ მშობლებთან. ერთობლივად ზრუნავენ მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, კურიკულუმების შემუშავებაზე. კათედრის წევრთა შორის გუნდური მუშაობა, გამოცდილების გაზიარება, სკოლაში მიმდინარე ერთ-ერთი მნშვნელოვანი პროცესია. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.3.3 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

დაწყებით საფეხურზე არსებობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატი, რომელიც გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს/მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. სასკოლო პროექტების წარმატებული განხორციელება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის უფლება, რა ფორმით ჩაერთვებიან სასკოლო თუ სასწავლო პროექტებში, აქტივობებსა და საკლუბო მუშაობაში. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლის საჭიროებების მუდმივ მონიტორინგს დაკვირვებაზე დაფუძნებული პორტფოლიოების, რუბრიკების ან პროექტების მეშვეობით. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. მოსწავლეებს მათი

უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.2.3.4 სრულად არის დაკამყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ქართულის კათედრის ოქმები
- სასწავლო პროექტები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**შეფასება:**
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

2. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით , სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება გაწერილია სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშვების მეთოდოლოგიაში,ასახულია, თუ როგორ და რა აქტივობებით და საშუალებებით განხორციელდება სკოლის და საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სამომავლოდ სკოლა გეგმავს , რომ კვლევა და შეფასება ჩატარდეს დაგეგმვის ეტაპზე და წარიმართოს სამი მიმართულებით:

ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება ( პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);

გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება ( სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

შესაბამისად მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით.

**ინდიკატორი 2..3.1.1 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმეტების მიხედვით, დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდა სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის თვითშეფასების ანგარიშში ასახულია, რომ პედაგოგების მოსწავლეებთან და მშობლებთან აქტიური კომუნიკაციით ზომავენ არსებული შედეგებს . ასევე, შეუძლიათ გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, ზეპირი უკუკავშირისა და დამრიგებლის საათისა და მშობელთა კრების საშუალებით. იდენტიფიცირებული გამოწვევების შემდეგ სასკოლო საზოგადება ზრუნავს პრობლემის მოგვარებაზე. სკოლის პერსონალთან გასაუბრების შედეგად ნათელი გახდა, რომ სკოლას აქვს ხედვა და მზაობა იმისთვის, რომ მომავალში სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შეფასების მონიტორინგის სისტემა დახვეწოს, რომლის ფუნქციაც იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. მომავალში უკეთესი შედეგების მისაღწევად სკოლა ეფექტურ გზად მიიჩნევს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, მათგან უკუკავშირს, რომ მაქსიმალურად მოხდეს მათი ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენა და მაქსიმალური მხარდაჭერა.

**ინდიკატორი 2..3.1.2 სრულად არის დაკამყოფილებული.**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი ჯგუფების კათედრებმა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საწყის ეტაპზე აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საგნობრივი კურიკულუმებით;

ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

ინტერვიუების და ვიზიტის დროს წარდგენილი „კურიკულუმის შედგენის და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის საფუძველზე, ვლინდება, რომ დაწესებულებაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. თვითშეფასების ანგარიშში ასახულია, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. სასწავლო პროცესში გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლაში გამოყენებულია სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები: კომპლექსური დავალების შეფასება, კომპლექსური დავალების რეფლექსია, მოსწავლეთა თვითშეფასება, დიაგნოსტიკური შეფასება და სხვა.

**ინდიკატორი 2.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მასწავლებლებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა,რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, რაც მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას იძლევა . კომპლექსური დავალებებისა და პროექტული სწავლების ფარგლებში შექმნილია საინტერესო ნამუშევრები, პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისათვის, როგორც სკოლის თვითშეფასების განცხადშია აღნიშნული, მიმართავენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, კლასის საათზე მოსწავლეთა გამოკითხვას, მშობელთა კრებებზე პრობლემური საკითხების განხილვას, ხდება მონაცემების გაანალიზება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეაფსებას. გეგმავენ არსებული მეთოდების გამრავალფეროვნებას . მოსწავლეთა ინტერესების კვლევა კითხვარების გამოყენებთ, გასაუბრება და სხვა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე ინდივიდუალურად და შეფასების შედეგად ხდება თითოეული მოსწავლის ცოდნის დადებითი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ

შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის

შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის პერსპექტივაში მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლას, იაზრებს მოსწავლის სწავლის პროცესზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. მულტიფაქტორული მიდგომა ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში.შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.3.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კათედრის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**შეფასება:**
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას და სკოლაში ვიზიტის დროს წარდგენილი „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტის ჩანაწერში, პუნქტ 1.2. „პრინციპები, რომელიც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს" ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი:„კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე." საზოგადოებრივი მეცნიერებეის, ქართულისა და საბუნებისმეტყველო კათედრების წევრებთან ინტერვიუს დროს იყო აღნიშნული რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობისა და ხარვეზები. ინტერვიუს დროს აგრეთვე იყო აღნიშნული რომ, მონაცემების შეჯერების საფუძველზე გათვალისწინებული იქნება წინა გამოცდილება, გაიწერება რეკომენდაციები , რათა მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორი 2.4.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ „მომავალში სასკოლო კურიკულუმის

რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში.“აგრეთვე სკოლის „კურირულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. კათედრების წევრებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოდ აღნიშნული მიდგომების მიერ თავისი მზაობა,

**ინდიკატორი 2.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები;

კათედრის სხდომის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**თავჯდომარის ხელმოწერა** -თეა გაბელაია -

**ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი წევრი** - ნინო შიუკაშვილი-

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი**-ია ვარდოსანიძე-

**საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი**-ფიქრია მუსერიძე-

**უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი**-ია გაგნიძე-

**ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი**-სოფიო გელაშვილი-

**ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი**- ნინო მარღიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი**-მარინე კვარაცხელია

**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი**-მანანა შეროზია -

**სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი**-თამარ ზედგენიძე -

**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი**-ნინო კოვზიაშვილი-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: